

„ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 1994 წლის 31 იანვრის №4 ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ცვლილებები და დამატებები №3

საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 27 დეკემბერს მიღებულ იქნეს კანონი „საქართველოს საგადასახადო სისტემის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომლის მიხედვით „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები, რის გამო „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამოყენების წესის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 1994 წლის 31 იანვრის №4 ინსტრუქციაში შეიტანება შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. ინსტრუქციის პირველი თავის მე-13 პუნქტში მოცემული ცხრილი გადმოიცემა შემდეგი რედაქციით:

კალენდარული წლის განმავლობაში ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა	გადასახადის ოდენობა
200 ლარამდე	დასაბეგრი შემოსავლის მთლიანი ოდენობის 12%
201-დან 350 ლარამდე	24 ლარი + 200 ლარს ზემოთ შემოსავლის 15%
351-დან 600 ლარამდე	46,5 ლარი + 350 ლარს ზემოთ შემოსავლის 17%
601 და მეტი ლარი	89 ლარი + 600 ლარს ზემოთ შემოსავლის 20%

2. ინსტრუქციის მე-2 თავის მე-17 პუნქტში განხილული მაგალითი გადმოიცემა შემდეგი რედაქციით:

„მაგალითი: მოქალაქემ საწარმოსთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იანვარში შესრულებული სამუშაოებისათვის მიიღო შემოსავალი 150 ლარის ოდენობით, თებერვალში - 180 ლარი, საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმი ამ პერიოდში შეადგენდა 9 ლარს.

საშემოსავლო გადასახადი ამ შემთხვევაში ბუღალტერიის მიერ დაკავდება შემდეგნაირად:

1. განისაზღვრება იანვარში საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის თანხა, რაც შეადგენს 9 ლარს და დასაბეგრი შემოსავლის თანხა, საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის გამოკლების შემდეგ შეადგენს 141 ლარს (150-9), საშემოსავლო გადასახადის თანხა - 16,92 ლარს (141x12%).

2. თებერვალში განისაზღვრება წლის დასაწყისიდან იანვარ-თებერვლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოსარიცხი თანხა 18 ლარი (9X2).

- განისაზღვრება ერთობლივი დასაბეგრი შემოსავალი წლის დასაწყისიდან - 312 ლარი (330-18).



- გადასახადის თანხა წლის დასაწყისიდან ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლიდან შეადგენს 40,80 ლარს [24 ლარს+(312-200)x15].

- იანვარში დაკავებული გადასახადის მხედველობაში მიღებით განისაზღვრება თებერვლის შემოსავლიდან დაკავებული გადასახადის თანხა 23,88 ლარი (40,80-16,92).

ანალოგიური წესით უნდა მოხდეს გადასახადის გამომანგარიშება მომავალი თვეებისათვისაც.“

3. ინსტრუქციის მე-2 თავის მე-18 პუნქტში განხილული პირველი მაგალითი გადმოიციმა შემდეგი რედაქციით:

„მაგალითი მოქალაქე განთავისუფლდა საწარმოდან 10 აგვისტოს. წლის დასაწყისიდან მან ამ საწარმოში მიიღო შემოსავალი 850 ლარი, რომელზედაც დაუკავეს გადასახადი 126,40 ლარი. საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმი შეადგენდა 9 ლარს, დასაბეგრი შემოსავალი - 787 [850-(9X7)]. ამავე წლის 20 აგვისტოს ეს მოქალაქე შრომითი ხელშეკრულების მიხედვით მუშაობას იწყებს სხვა საწარმოში, სადაც აგვისტოში მიიღო 40 ლარი.

ამავდროულად ამ მოქალაქემ ახალ სამუშაო ადგილზე წარადგინა ცნობა ძველი სამსახურიდან მიღებული შემოსავლისა და გადახდილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ აგვისტოში ახალ სამუშაოზე მიღებული შემოსავლიდან მას დაეკავა საშემოსავლო გადასახადი შემდეგნაირად:

ა) განისაზღვრა წლის დასაწყისიდან მუშაკის ერთობლივი შემოსავალი - 890 ლარი (850+40);

ბ) განისაზღვრა ერთობლივი შემოსავლიდან გამოსარიცხი საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის თანხა - 72 ლარი (9X8);

გ) დგინდება დასაბეგრი შემოსავლის თანხა - 818 ლარი (890-72);

დ) განისაზღვრება წლის დასაწყისიდან ერთობლივი შემოსავლიდან გადასახადის თანხა 132,60 ლარი [89 + (818-600)x20%];

ე) ჩაეთვლება ძველ სამუშაო ადგილზე დაკავებული გადასახადი და განისაზღვრება აგვისტოს თვის შემოსავლიდან დასაკავებელი გადასახადი 6,20 ლარი (132,60-126,40).“

4. ინსტრუქციის ამავე პუნქტში განხილული მეორე მაგალითი გადმოიციმა შემდეგი რედაქციით:

„მაგალითი: მოქალაქე გათავისუფლდა სამუშაოდან 10 ივლისს 6 თვის მუშაობისათვის (იანვარ-ივნისი) მას მიღებული ჰქონდა 560 ლარი, საიდანაც დაკავებული იყო გადასახადი 73,02 ლარი, ამასთან მთლიანი შემოსავლიდან გამორიცხული იყო 54 ლარი (საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის თანხა 9 ლარი). მუშაკის შემოსავალმა 1 ივლისიდან 10 ივლისამდე პერიოდში შედაგინა 30 ლარი.

საშემოსავლო გადასახადი ამ შემთხვევაში დაკავებული უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) განისაზღვრება ერთობლივი შემოსავალი წლის დასაწყისიდან გათავისუფლების დღემდე 590 ლარი (560+30);

ბ) გამორიცხება წლის დასაწყისიდან მიღებული მთლიანი შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის ჯერადი თანხა სრული თვეებისათვის 54 ლარი (9X6) და განისაზღვრება გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი 536 ლარი (590-54);

გ) განისაზღვრება ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლიდან გადასახადის თანხა 78,12 ლარი [46,5+(536-350)x17%, ჩაეთვლება ადრე დაკავებული გადასახადის თანხა 73,02 ლარი.

განისაზღვრება საბოლოო გადაანგარიშებით გათავისუფლების დროს დასაკავებელი გადასახადის თანხა 5,10 ლარი (78,12-73,02).“



5. ინსტრუქციის ამავე პუნქტში განხილული მესამე მაგალითი გადმოიციემა შემდეგი რედაქციით:

„მაგალითი: მოქალაქე საწარმოდან განთავისუფლდა 30 სექტემბერს, იგი ამ საწარმოში მუშაობდა წლის დასაწყისიდან 9 თვის განმავლობაში (იანვარ-სექტემბერი), მიეცა ხელფასი 900 ლარი. მთლიანი შემოსავლიდან გამორიცხული იქნა 81 ლარი (საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის თანხა შეადგენდა ამ პერიოდში 9 ლარს) დასაბეგრი შემოსავლიდან (819 ლარი) ამ საწარმოს მიერ დაკავებული იქნა საშემოსავლო გადასახადი 132 ლარი და 80 თეთრი, გათავისუფლების შემდეგ ოქტომბერში საწარმოს მიერ გაცემული იქნა მუშაკზე პრემია 120 ლარი, საშემოსავლო გადასახადი ამ შემთხვევაში უნდა დაკავებოდა შემდეგნაირად:

ა) განისაზღვრება მთლიანი შემოსავალი წლის დასაწყისიდან გაცემული პრემიის გათვალისწინებით 1020 ლარი (900+120);

ბ) წარმოებს წლის დასაწყისიდან მიღებული მთლიანი შემოსავლიდან ნამუშევარი სრული თვეების მიხედვით საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმისათვის გამორიცხვა (ამ მაგალითში 9 თვისა) 81 ლარი და განისაზღვრება გადასახადით დასაბეგრი ერთობლივი შემოსავალი 939 ლარი (1020-81);

გ) განისაზღვრება მთლიანი შემოსავლიდან გადასახადის თანხა 156,80 ლარი $[89+(939-600) \times 20\%]$, წარმოებს ადრე დაკავებული გადასახადის ჩათვლა (132 ლარი 80 თეთრი) და განისაზღვრება გადასახადის საბოლოო დასაკავებელი თანხა 24 ლარი (156,80-132,80).“

6. ინსტრუქციის ამავე პუნქტში განხილული მეოთხე მაგალითი გადმოიციემა შემდეგი რედაქციით:

„მაგალითი: მოქალაქე წლის დასაწყისიდან მუშაობდა საწარმოში, გათავისუფლდა 30 ნოემბერს. თერთმეტი თვის განმავლობაში მუშაკს მიეცა გამომუშავება თანხით 550 ლარი, ერთობლივი შემოსავლიდან გამორიცხება - 99 ლარი. დასაბეგრი შემოსავლიდან 451 ლარი, ამ საწარმომ დაუკავა საშემოსავლო გადასახადი 63 ლარი და 67 თეთრი საწარმოდან გათავისუფლების შემდეგ ამ მუშაკს მომავალი წლის იანვარში მისცეს პრემია - 70 ლარი. ამ შემთხვევაში გადასახადი დაკავდება მხოლოდ 70 ლარიდან თანხით 8 ლარი და 40 თეთრი (70x12%)“.

7. ინსტრუქციის მე-3 თავის 22-ე პუნქტში განხილული მაგალითი გადმოიციემა შემდეგი რედაქციით:

„მაგალითი: ძირითად სამუშაოზე მომუშავე მოქალაქეს იმავდროულად შემოსავლები აქვს სხვა საწარმოში საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. ამ საწარმოს მიერ მოქალაქეზე გაცემულია გასამრჯელო იანვარში 70 ლარი, მარტში 80 ლარი. ამ შემთხვევაში მოქალაქეზე გაცემული შემოსავლებიდან გადასახადი დაკავდება შემდეგნაირად:

- იანვარში გაცემულ შემოსავლებიდან გადასახადი დაკავდება 8 ლარი და 40 თეთრი (70x12%);

- მარტში გაცემული შემოსავლებიდან:

- განისაზღვრება მოქალაქის მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავლები წლის დასაწყისიდან 150 ლარი (70+80);

- განისაზღვრება გადასახადი ერთობლივი შემოსავლებიდან 18 ლარი;

- ჩათვლება იანვარში მიღებული შემოსავლებიდან დაკავებული გადასახადი და

განისაზღვრება დამატებით დასაკავებელი თანხა 9 ლარი და 60 თეთრი (18,00-8,40).“.

„ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლში შეტანილი ცვლილებები, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ გამოიყენება 1997 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული შემოსავლების დაბეგვრის დროს.



საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დ. იაკობიძე

საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო

სამსახურის უფროსი

დ. სალარიძე

